სეროზულ ბრძოლამდე იდგა სკოლების ეუბრუნველყოფა სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებითა და საკალო ოთახებით — სასწავლო დარაბაეკოთ. ძირითადად დადაჭრილია ეს საკითხი. კაბინეტ-ლაბორატორიების მოსაწყობად შეძენილია და სკოლებს გადაეცათ თითქმის მილიონის — 976.400 ბოთლის ხელსაწყოები და მოწყობილობა, 21.700 მერხი, 4.000 დაფა, 74.20 მაგიდა, 2.180 კარადა, 10.200 სკამი და სხვ.

თამარ ლაშქარაშვილი,

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

□

ფიზიკური განვითარების პროცესი. ბევრ ცოდნას ბავშვები ეჭიდნენ საბავშვო ბაღებსა და სხვა სკოლამდელ დაწესებულებებში. ამიტომ, სწავლების დაწყებით პეორიოდს სამი წლით რომ ვზრუდავთ, ეცდილობთ ცოდნის მოცულობა გავადიდოთ მე-4-8 კლასებში, რათა ამით ზოგიერთი თემა უფროსი კლასების პროგრამიდან უმცროსი კლასების პროგრამაში გადავიტანოთ.

ეს კი, ათასობით წორჩი აღსაზრდელი ამ კლასებისა ხვალ პირველად გამოსცდის იმ სიხარულს, რასაც ადამიანს ანიჭებს სკოლა. მათი საუკეთესო აღმზრდელ-პედაგოგები ხვალ იწყებენ, თუ შეიძლება თქვას, ყამირის გატეხვას, — მეცადინეობას ეჭიდნენ ბავშვებთან.

დიდია პირველკლასელთა სიხარული. ისინი შეუდგებიან ამ საფეხურს, რომელსაც შემდგომ უნდა ამყარებენ მეცნიერებათა საფუძვლების დასაფუძნებლად. პედაგოგების როლი უმთავრესია მათს აღზრდაში. ისინი ხომ საფუძველს უყრიან ცოდნის წორჩ მოქალაქეებში.

აქვე ისიც აღვნიშნო, რომ ხვალ მუშაობას პირველად შეუდგება ჩვენს სკოლებში 2000 ახალგაზრდა სპეციალისტი-პედაგოგი. ეუსურეთი მათ წარმატება მუშაობასა და ცხოვრებაში.

საკმაოდ ბევრია ზოგადსაგანმანათლებელო სკოლების რიცხვი ამ გზითაც, რომ დაწყებითი სკოლები გადაკეთდა 8-წლიან, ეს უკანასკნელნი კი საშუალო სკოლებად. ასეთები რესპუბლიკაში შესაბამისად გვაქვს — 21 და 35. გაიხსნა 19 ახალი საშუალო სკოლა. სულ ხვალ საპრეზიდიუმოებრო ზარი აწკრიალდება 4206 ზოგადსაგანმანათლებელო სკოლაში. ბევრგან მოსწავლეები იზეიმებენ ახალ სასწავლო წელს ახალ სკოლებში.

სეროზულ ბრძოლამდე იდგა სკოლების ეუბრუნველყოფა სათანადოდ აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიებითა და საკალო ოთახებით — სასწავლო დარაბაეკოთ. ძირითადად დადაჭრილია ეს საკითხი. კაბინეტ-ლაბორატორიების მოსაწყობად შეძენილია და სკოლებს გადაეცათ თითქმის მილიონის — 976.400 ბოთლის ხელსაწყოები და მოწყობილობა, 21.700 მერხი, 4.000 დაფა, 74.20 მაგიდა, 2.180 კარადა, 10.200 სკამი და სხვ.

□

□

ისა და მთავრობის დახმარებით, მხარდაჭერითა და ხელმძღვანელობით.

სკოლისაგან ხალხი, საბელმწიფო მოთხოვნებს ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ოდესმე, რაფდან ცხოვრება წინ წავიდა, მეცნიერებამ და ტექნიკამ უმაღლესი წინსვლას მიაღწიეს. ამ პირობებში სკოლებს გაეცალებათ მეტი მოეთხოვება, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება ლენინური აღზრდა ნორჩი თაობისა, საბჭოთა სკოლა მარტო განათლებელ ადგილებს როდი ამზადებს. მისი კედლებიდან უნდა გამოვიდნენ მკოდნე, ინიციატორ რწმენით აღსავსე მშენებლები კომუნიზმისა, პატრიოტები და ინტერნაციონალისტები, — როგორც ამას წინათ წერდა გაზეთი „პრავდა“.

ეს რომ ასე იყოს, დიდი ფიქრია საჭიროთ, „მზრდელი ყრმისა“, უნდა ეყოს მაღალკვალიფიციური, იდეურად მომზადებული, ორა მარტო თვალისი საგნის ცოდნა, ორამედ ავრეთვე მარქსისტულ მსოფლმხედველობას დაეუფლებული სპეციალისტი. სწორედ ამ საქმეს ემსახურება ღონისძიებათა მთელი ციკლი, რაც ჩვენს სკოლებში ტარდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების პერიოდში.

მასწავლებელთა ავგისტოს თათბირმა ფრიად საგულისხმო ღონისძიებანი დაუსახა ჩვენს პედაგოგთა არმიას, ერთ-ერთი მათგანია მასწავლებელთა მიერ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მასალების შესწავლის საეციალური კვრამ.

ჩვენმა სკოლამ, „სახალხო განათლების ორგანოებმა არ უნდა შეანელონ ბრძოლა საყოველთაო საკალდებულო 8-წლიანი განათლების შესახებ კანონის განსახორციელებლად და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასასვლელად. დიდი მუშაობა წარმოიქმნა 1970 წელს საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლისათვის მოსამზადებლად. რესპუბლიკაში ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდა. ამ ბოლო წლების მანძილზე ყოველ ამ მოსწავლეზე, რომლებმაც რვაწლიანი სკოლა დაამთავრეს, 97 განგრძობს სწავლას საშუალო სკოლების მეცხრე კლასში ან ტექნიკუმსა და პროფტექნიკურ სასწავლებელში. გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

დიდი დღეა ხვალ ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს თავლურწვდენელ სოციალისტურ საშობლოში — იწყება ახალი სასწავლო წელი, ახალი ლაშქრობა ცოდნის დაუფლებისათვის.

გამარჯობა, სკოლავ! — ასეთია ყოველი ადამიანის სიტყვა ამ დღეს.

დიდ გზაზე

გიორგი ჯიბლაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

□

ამ ადამიანის ცხოვრება ასე დაიწყო: იგი დაიბადა სოფელ არაშენდაში, მაშინ მშიერი 1913 წელი იდგა, დიდი ადრე გარდაეცვალა, მის გარდა ოჯახში იზრდებოდნენ და-ძმები ვერა, შაქრო და ლონგინოზი. ისინი კატოს მზრუნველობდნენ, თავის მხრივ კატოც შეელოდათ.

შინდისის დაწყებით სკოლაში ოთხ წელს ისწავლა. ეს იყო ახალი საქართველოს აღმშენებლობის წლები — 1923-1927 წლები. კატარა კატო თავისებურ უნარს და მიზეზდრილობას იჩენდა სწავლაში, ოჯახურ საქმეებსა და მეზობლურ ურთიერთობაშიც.

რამდენიმე წლის შემდეგ იმავე შინდისის დაწყებით სკოლაში დანიშნეს მასწავლებლად. ეს იყო ოფლის გოგონას თვისებრივი ზრდის მაჩვენებელი. მალე მას ასე მიმართავდნენ: „კატო მასწავლებელო, დედიკო“ შემოგთვალა“...

კატომ იცოდა, რა შემოთვალა დედიკომ, იგი მიდიოდა მეზობლისას, მიესალმებოდა თავშეყრილ ქალებს და ახალგაზრდა მასწავლებელი ამეცადინებდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლას.

ასე იდევნებოდა შინდისელ გლეხ ქალთა ჯერ კიდევ ღარიბული ქოხებიდან სიბნელე და უვიცობა, თან რომ სდევდა წერა-კითხვის უცოდინარობას, სწავლის სინათლის ლამპარს კი ანთებდა მასწავლებელი კატო მაზმიშვილი.

რომ ასწავლო, თვითონ უნდა იყო კარგად განსწავლული, — კატოს გაგონილი ჰქონდა ეს ბრძნული რჩევა. მან პედაგოგიური დახელოვნება განაგრძო გორის პედაგოგიურ ტექნიკუმში, ჯრომელიც 1931 წელს დაამთავრა. შემდეგ ამას მოჰყვა გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის დამთავრება.

ერთ მშვენიერ დღეს კატო მაზმიშვილს ახალი უბანი ჩაბარეს — სკრის არასრულ საშუალო სკოლაში გაგზავნეს. სამი წელი იმოღვაწა ამ სკოლაში, თვითონაც მიიღო წრთობა და სკოლელ ბავშვებსაც ასწავლა, როგორ ეფლოთ ცოდნის მწვერვალებისაკენ.

ამ ღვაწლმოსილ ადამიანს 36 წლის პედაგოგიური მუშაობის განუწყვეტელი სტაჟი აქვს. 1940 წლიდან დღემდე ქ. გორის პირველ საშუალო სკოლაში მეხუთე-მეშვიდე კლასებში ასწავლის ქართულ ენასა და ლიტერატურას. ადვილი როდია 29 წლის მანძილზე ერთ სკოლაში ასწავლო მშობლიური ენა და ლიტერატურა შეუბღალავად. უმწიკლოდ. მაგრამ ამას კატო მაზმიშვილი აკეთებს საქმისადმი დიდი სიყვარულით, იმ რწმენით, რომელიც მასში ალბარდ კომკავშირმა, პარტიამ, რომელთა რიგებში კატო მომწიფდა როგორც ადამიანი — პედაგოგი.

ერთ-ერთ დაბადებისთვისაში ეკითხულობთ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კატო მაზმიშვილი დაჯილდოებულია მედლებით: „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“ შრომითი მამაცობისათვის“ „შრომითი წარჩინებისათვის“ და „შრომითი მამაცობისათვის“, განათლების დარგში ხანგრძლივი და უმწიკლო მუშაობისათვის, აგრეთვე მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.

ასეთია კატო მაზმიშვილი, ასე ვთქვათ, გარეთ — სკოლაში, საზოგადოებაში. მაგრამ არანაკლებ სამაგალითოა იგი ოჯახში, როგორც დედა, დიასახლისი, ერთგული მეუღლე, მორალური სიწმინდე მისი ოჯახის თანამგზავრია.

„ხანგრძლივი, უმწიკლო“... ვიმეორებ ამ შესანიშნავ სიტყვებს, მთავრობის ბრძანებულებაში რომ სწერია, და თვალწინ მიდგას ერთი მრავალთაგანი, ღვაწლმოსილი პედაგოგი.

ს. ყურაშვილი.

მასწავლებლის გული

ამ ადამიანის ცხოვრება ასე დაიწყო: იგი დაიბადა სოფელ არაშენდაში, მაშინ მშიერი 1913 წელი იდგა, დიდი ადრე გარდაეცვალა, მის გარდა ოჯახში იზრდებოდნენ და-ძმები ვერა, შაქრო და ლონგინოზი. ისინი კატოს მზრუნველობდნენ, თავის მხრივ კატოც შეელოდათ.

შინდისის დაწყებით სკოლაში ოთხ წელს ისწავლა. ეს იყო ახალი საქართველოს აღმშენებლობის წლები — 1923-1927 წლები. კატარა კატო თავისებურ უნარს და მიზეზდრილობას იჩენდა სწავლაში, ოჯახურ საქმეებსა და მეზობლურ ურთიერთობაშიც.

რამდენიმე წლის შემდეგ იმავე შინდისის დაწყებით სკოლაში დანიშნეს მასწავლებლად. ეს იყო ოფლის გოგონას თვისებრივი ზრდის მაჩვენებელი. მალე მას ასე მიმართავდნენ: „კატო მასწავლებელო, დედიკო“ შემოგთვალა“...

კატომ იცოდა, რა შემოთვალა დედიკომ, იგი მიდიოდა მეზობლისას, მიესალმებოდა თავშეყრილ ქალებს და ახალგაზრდა მასწავლებელი ამეცადინებდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლას.

ასე იდევნებოდა შინდისელ გლეხ ქალთა ჯერ კიდევ ღარიბული ქოხებიდან სიბნელე და უვიცობა, თან რომ სდევდა წერა-კითხვის უცოდინარობას, სწავლის სინათლის ლამპარს კი ანთებდა მასწავლებელი კატო მაზმიშვილი.

ეს ადამიანი ცხოვრობს ასე: ოჯახი, ოჯახი, ოჯახი. ეს ოჯახი ეკუთვნის ბავშვებს, ეკუთვნის ოჯახი ბავშვებს, ეკუთვნის ოჯახი ბავშვებს, ეკუთვნის ოჯახი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ სექტემბერს დაიწყებს თავის მორიგ სასწავლო წელს ჩვენი რესპუბლიკის უდიდესი უმაღლესი სასწავლებელიც — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფი მარჯვნიდან მარცხნივ — ს. კულიჯანოვი, ი. ძნელაძე, ნ. გობეჯიშვილი, მ. ხალუქვაძე, თ. წიკლაური, ო. საკსაგანსკი, გ. ბედოიძე, თ. შუბლაძე, ბ. ბროდსკი და გ. სოლომკო.

ფოტო ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

ᲡᲘᲮᲐᲠᲗᲕᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲨᲘ

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲜᲐᲠᲯᲐᲜᲔᲑᲐ! — უხმობს სკოლის ახალი შენობა ცოდნისკარელ მოსწავლეებს. ეს სამსართულიანი შენობა ააგო კოლმეურნეობამ და საჩუქრად გადაცა ნორჩ თაობას. ეს პირველი არ არის ლაგოდეხის რაიონში. („კომ." კორ.).

◎ ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲢᲘᲞᲘᲠᲘ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡᲗᲕᲘᲡ! — რა შეიძლება იყოს ამაზე უფრო სასიხარულო ამ დღეებში სოფლისათვის?! ამ სიხარულს კი მრავალთა შორის ტიბაანიც განიცდის. მადლობა კოლმეურნეებს — ამ სკოლის მშენებლებს, — ბსეთია სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის მოსწავლეთა და პედაგოგთა სიტყვა.

Ბ. ᲫᲐᲡᲐᲫᲔ.

◎ Ქ. ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐᲨᲘ ᲐᲘᲒᲝ 4-ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ 960 ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲑᲔᲒᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲨᲘ — ᲔᲙᲚᲐ ᲓᲐ ᲮᲝᲠᲨᲘ.

Ბ. ᲚᲝᲛᲫᲘᲐ.

● ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲘᲗᲝᲛᲪᲘᲤᲔᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ. ᲘᲒᲘ ᲢᲘᲞᲘᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ ᲐᲘᲒᲝ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ 300 ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲘᲒᲘ ᲢᲘᲞᲘᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲗ ᲐᲘᲒᲝ. ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲮᲣᲒᲝ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲜᲐᲑᲐᲡᲢᲕᲘᲡ 8-ᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲡ ᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲡᲔᲜᲐᲑᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲛᲐ.

Დ. ᲖᲐᲠᲘᲫᲔᲣᲠᲘᲫᲘ.

ᲧᲐᲛᲘᲠᲔᲚᲘ ᲑᲘᲭᲔᲑᲘ

„ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ" ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲑᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ გვიან ღამით სპეციალურმა მატარებელმა მშობლიურ დედაქალაქში ჩამოიყვანა სტუდენტები, რომლებმაც არდადეგები შორეულ ყაზახეთში გაატარეს. ყამირზე ტრადიციული შრომის ესტაფეტა წელს საქართველოდან პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებს ხვდათ წილად. სამშენებლო, ენერგეტიკული, მექანიკა-მანქანათმშენებლობის, ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტების 250 სტუდენტი აშენებდა კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამეურნეო დანიშნულების ნაგებობებს ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის სოვეტსკის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

სტუდენტთა ექვსმა სამშენებლო რაზმმა ათობით სხვადასხვაგვარი ობიექტი ააგო და დავალებით გათვალისწინებული 550 ათასი მანეთის ნაცვლად 800 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა. ეს ციფრი განმარტებას არ საჭიროებს. მაგრამ ამას უნდა დავუმატოთ, რომ ენთუზიასტებმა ყოველივე ეს რთულ ბუნებრივ პირობებში გააკეთეს და ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქში მომუშავე სტუდენტურ რაზმებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს.

—საექსპლოატაციოდ გადავეცით 20 საცხოვრებელი სახლი, 14 ფერმა, 8 სახბორე, 4 კლუბი, შეკეთდა ათობით სხვადასხვა ნაგებობა, —გვითხრა სტუდენტთა სამშენებლო რაზმის უფროსის მოადგილემ ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის V კურსის სტუდენტმა რამაზ აბაშიძემ. — ჩასულისთანავე ყველა უბანზე გავაჩაღეთ შეჯიბრება დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ამან საშუალება მოგვცა უკან ჩამოგვეტოვებინა მოსკოველ, ერევნელ, ყუბანელ და ორჯონიკიძელ სტუდენტთა სამშენებლო კოლექტივები, რომლებიც ჩვენთან ერთად იყვნენ ჩასული ჩრდილოეთ ყაზახეთში. განსაკუთრებული ქების ღირსია სამშენებლო ფაკულტეტის რაზმი, რომელსაც ლენინური სტიპენდიატი ბაკურ გულუა ხელმძღვანელობდა. მშენებლებს გეგმით სამი ფერმა უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, მაგრამ რეზერვები ისე გაანაწილეს, რომ დამატებით მოასწრეს ერთი მუსიკალური სკოლის აგებაც. მოაწყეს მშრომელთა დასასვენებელი შესანიშნავი კუთხე. მშენებლების რაზმმა 18 ათასი მანეთის სამუშაო შეასრულა 11 ათასი მანეთის ნაცვლად. კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს აგრეთვე მიხეილ ჯანიკაშვილის და იური სოლოვევის რაზმებმაც.

„შრომითი სემესტრის" გამოცდა ფრიადზე ააბარეს სტუდენტებმა, მაგრამ პარალელურად ამისა „ყამირი-69"-ის პროგრამაში კულტმასობრივი ღონისძიებებიც ჰქონდათ, რომელთა განხორციელებითაც ბევრი ტბილი მოგონება დაუტოვეს იქაურ მცხოვრებლებს. ბევრ თბილისელ ენთუზიასტს უკვე კარგად იცნობენ შორეულ ყაზახეთში. წელს იქ მეოთხე ზაფხული გაატარა სამშენებლო რაზმის უფროსმა ინსტიტუტის მეცნიერმა შუშაკმა გოგი ციბაძემ, მეორედ იყვნენ შორეულ ყაზახეთში გივი ნანიტაშვილი, იური სოლოვევი და ბევრი სხვა.

ტრადიციისამებრ ყამირელ სტუდენტთა შესასვლელად თბილისის რკინიგზის სადგურზე, მოვიდნენ საქართველოს აღკაკ ცენტრალური კომიტეტის, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის, ინსტიტუტის რექტორატის, პარტიული კომიტეტის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები. ბაქანი მეყამირეთა მეგობრებით, ნაცნობებით, ნათესავებით გაიესო.

—ყველა ყამირელი სანიმუშო სტუდენტია, — თქვა ჩვენთან საუბარში პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორის მოადგილის შემსრულებელმა დოცენტმა ვ. ხუროშვილმა. — ჩვენთან ეს უკვე ტრადიციად იქცა. ყამირის საგზურს მხოლოდ საუკეთესოები იღებენ, ისინი, ვინც სწავლობიც და შრომობიც პირველია. სტუდენტებმა, როგორც ყოველთვის, წელსაც გაამართლეს ჩვენი ნდობა, ისინი მშობლიურ ინსტიტუტს გამარჯვებულნი დაუბრუნდნენ.

რ. ᲗᲔᲚᲘᲫᲔ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: სტუდენტ ყამირელთა ერთი ჯგუფი თბილისის ვაგზალზე.

ფოტო ს. ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐ ᲚᲣᲟᲜᲘᲙᲨᲘ

ᲓᲦᲔᲡ ლუჟნიკში გაიმართება ერთ-ერთი საინტერესო მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის. ორივე გუნდისათვის ეს იქნება გენერალური რეპეტიცია მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების წინ.

სსრ კავშირის ნაკრები დაკომპლექტებულია 18 ფეხბურთელით. ჩრდილოეთ ირლანდიაში გამგზავრების კანდიდატები არიან: მეკარეები — რუდაკოვი და კავაზაშვილი; მცველები — აფონინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ხურცილავა, ძოძუაშვილი და ლოვჩევი; ნახევარმცველები — კისელიოვი, მუნტიანი, პაპაევი და სერებრიანიკოვი; თავდასხმელები — ჰუსაინოვი, ოსიანინი, პუზაჩი, ხმელნიცკი, ევრიუჟიხინი და გერშკოვიჩი.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲖᲔ

ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲨᲘ დამთავრდა „ხიჯაბუკის თასის" გათამაშება ფეხბურთში. წარმატებით გამოვიდა ნაჭართველოს გუნდი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა და მთავარი პრიზი მოიპოვა.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ფეხბურთში იმ გუნდებისათვის, რომლებიც მეთხუთმეტე-მეოცე ადგილებისათვის იბრძვიან.

ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲨᲘ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „არარატი" და ტაშკენტის „პახტაკორი". მეტოქეებმა თითო ბურთი გაიტანეს და მატჩი ფრედ დაამთავრეს.

დღეს კი შედგება იმ გუნდების შეხვედრები, რომლებიც ჩემპიონატზე პირველი-მეთოთხმეტე ადგილებისათვის იბრძვიან. დინეეცკის „მეტალურგი" საკუთარ მოედანზე პაექრობა ეუნება ლუგანსკის „ზარიასთან", ხოლო მინსკში ითამაშებენ ადგილობრივი „დინამო" და ოდესის „ჩერნომორეცი".

ᲒᲠᲔᲚᲓᲘᲓᲔᲑᲐ რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში. გუნდების უმრავლესობას გამართული აქვს 26 თამაში. პირველი ჯგუფის პირველ ქვეჯგუფში სატურნირო ცხრილის სათავეში დგას გეგეჭკორის „სალხინო", რომელსაც 33 ქულა აქვს. ლიდერს ერთი ქულით ჩამორჩება ვანის „სულორი", ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ საერთაშორისო ტურნირმა ფრენბურთში ვაჟთა გუნდებისათვის დიდი ინტერესი გამოიწვია. ოლიმპიური ჩემპიონი სსრ კავშირის ნაკრები და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი— იაპონიის ნაკრები 29 აგვისტოს მატჩამდე დაუმარცხებლად მივიდნენ. მთავარ მეტოქეთა ასპარეზობა საბჭოთა ფრენბურთელების უპირატესობით წარმართა, მათ გაიმარჯვეს 3:0, და ტურის დამთავრებამდე უკვე გაიხადღეს პირველი ადგილი.

Ი. ᲞᲝᲚᲓᲣᲑᲜᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲠᲘᲒᲐᲨᲘ დაიწყო ტრადიციული ტურნირი კლასიკურ ჭიდაობაში ი. პოდდუბნის პრიზზე. მონაწილეობენ — ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, უნგრეთის, რუმინეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, სირიის, ფინეთის, იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის მოჭიდავეები. მათ შორის 3 მსოფლიოს ჩემპიონია, 2 — ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი და 4 ევროპის უძლიერესი ფალავანი.

მეორე ქვესაშუალო წონაში თბილისელმა ო. ბლიაძემ სტარტზე დაამარცხა სირიის წარმომადგენელი მახმუდ ბალიახი.

ᲙᲝᲛᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲝᲡᲘᲞᲝᲕᲘᲩᲨᲕᲘᲚᲘ

(გარდაბანის რაიონი) მეგობარ ტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი იყო, ხოლო 1968 წლიდან — მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

Ვ. ოსიყმიშვილი ადგილობრივ არჩეული იყო საქართველოს კპ საგარეჯოს რაიონული კომიტეტის წევრად, გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიასაბჭოს დეპუტატად, მცხეთის რაიონის ნატახტრის სასოფლო საბჭოს დეპუტატად. აქტიურ მონაწილეობას იღებდა სამამულო ომის ვეტერან პარტიზანთა რესპუბლიკური საბჭოს საქმიანობაში, იყო ქ. ვინიცის იატაკქვეშა ორგანიზაცია „უკრაინის" საპატიო წევრი. მისი საბრძოლო მამაცობა ვრცლად აქვს გაშუქებული საბჭოთა კავშირის გმირს, პარტიზანთა ბრძოლების მონაწილეს დ. მედვედევის წიგნში „სამხრეთ ბუგის ნაპირებზე", ცენტრალური და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე მრავალჯერ აღნიშნულა მისი საბრძოლო დამსახურება სამშობლოს წინაშე.

იგი დაჯილდოებული იყო მთავრობის ორდენითა და მედლებით.

ვასილ ოსიყმიშვილის ნათელი ხსოვნა, მისი კეთილი სახე მუდამ დარჩება მისი მეგობრებისა და ნაცნობების გულში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲠᲐᲘᲝᲛᲘ,
ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲐ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ-ᲛᲔᲓᲔᲡᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ?

ᲛᲘᲘᲦᲬᲣᲠᲐ ზაფხული, წლის ყველაზე ცხელი დრო. წელს, მართალია, უცნაური ზაფხული გვქონდა, მხოლოდ აგვისტოს მეორე ნახევრიდან ვიგრძენით ნამდვილი სიცხეები. და აი მზემოკიდებული, გაჯანსაღებული ბრუნდებიან დასვენებლები, ხალხით აივსო, ბავშვებმა აეფრიამფულეს თბილისისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქების ქუჩები, ხვალიდან კი იწყება სწავლა, იწყება მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრება.

ბევრს, განსაკუთრებით კი იმათ, ვინც სასწავლო მერხებს მიუსხდება და პედაგოგ-მასწავლებლებს აინტერესებთ, როგორი იქნება სექტემბრის პირველი დღეების ამინდი, გაგრძელდება თუ არა აგვისტოს მიწურული სიცხეები?

როგორც თბილისის ამინდის ბიუროში ჩვენი გაზეთის კორესპონდენტს აცნობეს, დასავლეთ საქართველოში მაქსიმალური ტემპერატურა მიაღწევს 30-35 გრადუსს, მთაში კი იქნება 25-30 გრადუსი. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ამ დღეებში მოსალოდნელია მაქსიმალური ტემპერატურა 29-30 გრადუსი, მთიან ადგილებში 23-28 გრადუსი. საერთოდ კი შემოდგომის პირველ თვეში აგვისტოსთან შედარებით ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა 4-5 გრადუსით დაბალი იქნება.

დასავლეთ საქართველოში 1-დან 18 სექტემბრამდე მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, ხანმოკლე წვიმა, დროგამოშვებით ელჭექი, თვის დანარჩენ დროს უმეტესად მცირე-ღრუბლიანი და მშრალი ამინდი.

ჰაერის ყველაზე დაბალი, მინიმალური ტემპერატურა მოსალოდნელია მეორე დეკადის მეორე ნახევარში — დაბლობ რაიონებში 11-16 გრადუსი, მთიან რაიონებში 6-11 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში კი 2-5 გრადუსი. ყველაზე მაღალი, მაქსიმალური ტემპერატურა გათვალისწინებულია თვის დასაწყისში, დაბლობ და მთიან რაიონებში 28-33 გრადუსი, მაღალმთიან რაიონებში — 25-29 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში სექტემბრის ამინდის ზოგადი დახასიათება თბილისის ამინდის ბიუროს სინოპტიკოსების პროგნოზის მიხედვით ასეთია.

1-5 და 19-30 სექტემბრისათვის მოსალოდნელია უმეტესად მცირეღრუბლიანი და მშრალი ამინდი, თვის დანარჩენ დროს — ცვალებადი მოღრუბლულობა ხანმოკლე წვიმა და ელჭექი.

ყველაზე დაბალი, მინიმალური ტემპერატურა გათვალისწინებულია მეორე დეკადის მეორე ნახევარში, ქართლის ვაკეში — 8-13 გრადუსი, გარე და შიდა კახეთში 10-14, მთიან რაიონებში 3-8 და მაღალმთიან რაიონებში მინუს ერთი, პლუს 4 გრადუსი.

ყველაზე მაღალი, მაქსიმალური ტემპერატურა მოსალოდნელია თვის დასაწყისში დაბლობ რაიონებში — 29-34, მთიან რაიონებში — 25-30 გრადუსი.

ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურა გათვალისწინებულია დაბლობ რაიონებში 18-20 გრადუსის, მთიან რაიონებში 10-15 გრადუსის ფარგლებში, რაც ნორმასთან ახლოს იქნება.

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

„მᲫᲦᲝᲛᲐᲠᲔ" წელიწადი ბედნიერია იმერეთისათვის: ორი საშუალო სასწავლებელი მიენიჭა მას; ხონში ამ დღეებში გაიხსნება სამოსწავლო სემინარია და ქუთაისში სასულიერო სემინარიის გახსნის თაობაზე საქმე გათავებულია". („დროება", 1881 წ. 2 სექტემბერი).

„ᲩᲕᲔᲜ სოფელში დღემდის სკოლა არ არსებობს და სწავლებელმა, წელს გიმნაზიაში კურს-დამთავრებულმა რობიტოვის ქალმა, უკვე აიღო მთავრობისაგან ნება-რთვა. არ შეგვიძლიან არ მივულოცოთ სიღნაღსა და მის მაზრას დიდი ხნის ნატვრის აღსრულება. („დროება", 1884 წ. 1 სექტემბერი).

„ᲐᲮᲐᲛᲓᲔ ხმა იყო, რომ მთავრობა თბილისში მესამე გიმნაზიის დაარსებას აპირებსო, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს აკადემიური წელიწადი ისე დაიწყო, რომ მესამე გიმნაზია არსად არის და მრავალი ყმაწვილები ისევ სასწავლებლის გარეშე უნდა დარჩენენ". („დროება", 1884 წ. 2 სექტემბერი).

„ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ საქალაქო გამგეობას ამ ჟამად შვიდი პირველდაწყებითი საერთო სკოლა აქვს. ქართველთათვის — კუკიასა და მთაწმინდაში, ხომეხთათვის — კუკიასა, ავლაბარში და ხარფუხში, რუსთათვის—ავლაბარსა და ვერაზე"... („ᲘᲕᲔᲠᲘᲐ", 1886 წ. 11 სექტემბერი).

ᲩᲕᲔᲜᲨᲘ 1878 წლიდან არსებობს ერთ-კლასიანი სკოლა. წელს კი ამ სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთება განვიზრახეთ და კიდევაც შევასრულეთ ჩვენი წადილი". სოფ. დიდი ჯიხაიში, ქუთაისის მაზრა. („ᲘᲕᲔᲠᲘᲐ", 1889 წ. 6 სექტემბერი).

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲦᲐᲚᲓᲒᲔᲓ

I ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲡᲣᲚ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ

მისი გამართვა არავის ფიქრადაც არ მოსვლია და რჩეულის-მომცემი არავინ არ გამოჩნდა ჯერ-ჯერობით..." (ს. გეჯეთი. სენაკის მაზრა. „დროება").

2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲡ დაიწყო სწავლა ტფილისის ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტში. შესვლის მსურველთა რიცხვი იყო 86 კაცი, მიიღეს 24 კაცი, ამათში მხოლოდ 3 ქართველია". („ᲘᲕᲔᲠᲘᲐ", 1884 წ. 6 სექტემბერი).

„ᲩᲕᲔᲜ ნამდვილად შევიტყეთ, რომ ამ სექტემბრიდამ სიღნაღში ჯაიხსნება კერძო საქალაბო სასწავლებელი 3-მე ხარისხისა. მაგრამ, ეს ამბავი ისევ ბოლოს ეცოდინებოდა, ეს ამბავი ისევ ბოლოს ეცოდინებოდა, ეს ამბავი ისევ ბოლოს ეცოდინებოდა".

„ᲗᲐᲛᲐᲛᲐᲓ შეიძლება კაცმა თქვას, რომ მთელს რაჭაში ერთი სკოლაც არ არსებობს. ზოგიერთს სოფელში არის ვითომც სამონასტრო თუ სამრევლო სკოლები, მაგრამ ისინი მხოლოდ ქალაღდზე არსებობენ, რადგანაც არც მოწყობილობაა და არც მასწავლებლები ჰყავთ რეგანი. („ᲘᲕᲔᲠᲘᲐ", 1892 წ. 2 სექტემბერი).

„ᲐᲮᲐᲛᲓᲘᲡ ამოდენა დაბაში, რომელიც დღე-დღეზედ ქალაქად გადაიქცევა, ერთი სასწავლებელიც არ არის" დ. სამტრედია. („ᲘᲕᲔᲠᲘᲐ", 1893 წ. 7 სექტემბერი).

„ᲡᲬᲝᲠᲔᲓ შემოდგომის დასაწყისი არის ის დრო, როდესაც ჩვენ ყველაზე მეტად ვზრუნავთ სწავლისა და განათლებისათვის, როდესაც იწყება სწავლა სხვადა-სხვა სასწავლებლებში და როცა ამ სასწავლებლებში ასობით და ათასობით ვამგზავრებთ ჩვენს ახალგაზრდობას სწავლისათვის, ნათელის მისაღებად, კაცად შექმნისათვის, ამ ორის, სამის კვირის წინათ ჩვენ გავისტუმრეთ მცირე დასდასად, რაზმი-რაზმ ზედ სხვა-და-სხვა რუსეთის მაღალ სასწავლებლებში ჩვენი ახალგაზრდანი. დღეს მინისწრაფიან თითოოროლა შეგვიანებულნი, უკან ჩამორჩენილნი მორაზმენი. მიისწრაფიან იმედებით, მხიარულად, ვინ ახალგაზრდათა წესია, სტოვებენ დროებით თავიანთ ქვეყანას, რომ იქ, საცა მათ გზავნიან, იმხნონ თავიანთ განათლებისათვის, იზრუნონ თავიანთ სწავლისა და განვითარებისათვის, რომ ყველა ამით ასახელონ თავიანთი მშობელი ქვეყანა... რომ დავაკაცდეს გონებით, შეიჭურვოს სწავლით და ებრძოლოს უმეცრებას სიღარიბეს"... („ᲓᲠᲝᲔᲑᲐ", 1885 წ. 3 სექტემბერი).

ᲚᲐᲙᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

ᲠᲐᲓᲘᲝ

I ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲛᲘᲗ

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართველ კომპოზიტორთა რომანსები თ. ზაალიშვილის შესრულებით, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები, 09.25 — მოცარტი. საფორტეპიანო კონცერტი რე მინორი. სოლისტი — ს. რიხტერი, 11.05 — დ. თორაძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ჩრდილოეთის პატარძალი", 11.45 — სოლოვიოვ-სედოი. სიმღერები, 12.10 — საუბარი „აღდგეთოთ ვაგონების მოცდენა", 12.25 — ჩაიკოვსკი. კამერული ნაწარმოებები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 14.00 — ს. პროკოფიევი. მეხუთე სიმფონია (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის — „რეკავს სექტემბრის ზარი", 18.10 — ნ. მამისაშვილი. ორი სიმფონიური ჩანახატი და კონცერტი ფორტეპიანოსა და კამერული ორკესტრისათვის, 18.45 — სიმღერები ვ. ვუჩიჩის შესრულებით, 19.15 — ბოროდინი. ნაწყვეტები ოპერიდან „თავადი იგორი", 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — ბ. ბრიტენი. სიუიტა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის და „ძილისპირული" სიმღერები, 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — კ. ლორთქიფანიძე „გაუმარჯოს დონ კიხოტს", მოთხრობა, 22.00 — კონცერტი-საუბარი — „ახალგაზრდა ლიტველი კომპოზიტორები", 22.50 — ვ. დოლიძე. საორკესტრო ნაწყვეტები ოპერიდან „ლეილა", 23.30 — უნგრული მსუბუქი მუსიკა, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.



ᲞᲘᲠᲕᲔᲚ სექტემბერს მოისმენთ და ნახავთ გადაცემას მოსკოვიდან „ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ".

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

● ᲙᲕᲘᲠᲐ, 31 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

10.30 — ბავშვებისათვის „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ბავშვებისათვის — ქართული მხატვრული ფილმი „არდადეგები", 13.00 — ბავშვებისათვის — „გილოცავთ, ახალ სასწავლო წელს" (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.50 — კინონარკვევი, 14.15 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი — „ნახევარი საუკუნის მატიანე" — 1965 წელი (ქართულ ენაზე), 15.15 — გადაცემა ბავშვებისათვის „ხვალ იწყება ახალი სასწავლო წელი", 15.35 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.20 — საესტრადო გასართობი პროგრამა, 17.00 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა: 1. მხატვრული ფილმი „მოუხელთებელი შურისმაძიებლები", 2. ტტუმრად მეზღაპრესთან, 3. კინომოგზაურთა კლუბი. 4. ციხფერ ეკრანზე, 21.15 — „მომმბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.25 — გადაცემა „ანტიფაშისტური თემა გერმანულ კინოში", 22.30 — „შვიდი დღე" — საერთაშორისო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან).

● ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 1 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — ბავშვებისათვის, „თამამᲗეთ ჩვენთან ერთად" (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „ჩაგარდა". სატელევიზიო სპექტაკლი ჩეხოვის მოთხრობების მიხედვით (გადმოცემა მოსკოვიდან), 12.30 — მხატვრული ფილმი „ᲨᲣᲥᲘᲐ ირჩევს ზღვას", 18.00 — „სექტემბრის ზეიმი" (გადმოცემა მოსკოვიდან), 18.30 — კინონარკვევი, 18.45 — კონცერტი მოსწავლეთა თხოვნით, 19.25 — კინონარკვევი, 19.45 — „მშობელთა ტელეუნივერსიტეტი" — „ლენინის დედა", 20.05 — კონცერტი მიეძღვნა", 20.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „შორეული გზების სათავე", 21.05 — „მომმბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.30 — ფერადი ტელევიზიის კინდარბაზი — მხატვრული ფილმი „არენა".

● ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 2 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა — „კინოლექტორიუმი" — ფრაგმენტები მხატვრული ფილმიდან „სპარტაკი" (26 აგვისტოს გადაცემის გამეორება), 17.55 — ახალი ამბები, 18.00 — მოსკოვი-სოფია (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.00 — განცხადებები, 19.05 — ბავშვებისათვის „ცისარტყელა" — სატელევიზიო ჟურნალი, 19.45 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან „საუბრები ზნეობის შესახებ", 20.00 — „მომმბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.25 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „ᲨᲐᲕᲐ ფრინველები", 21.40 — კონცერტი, 22.15 — „ხელოვნების ოსტატები" — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ტატიანა დორონინა (გადმოცემა მოსკოვიდან).

● ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 3 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ

11.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — შენთვის, ახალგაზრდობავ!" (გადმოცემა მურმანსკიდან), 11.45 — იუგოსლავიური მხატვრული ფილმი „ᲨᲐᲕᲐ ფრინველები", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — „კოკონი" — სატელევიზიო ჟურნალი პიონერებისათვის, 19.05 — „მტკიცე საკვები ბაზისათვ